დანართი №1

წლიური ანგარიში მხარჯავი დაწესებულების პროგრამების და ქვეპროგრამების შესახებ

ქვეპროგრამების შესახებ

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტო

კოდი 30 06 02

მხარჯავი დაწესებულების დასახელება, პროგრამული კოდი

1. **სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა**

თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

1.1 **პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი**[1] მატერიალური რეზერვების შექმნა და მართვა 30 06 02.

განმახორციელებელი საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტო

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა	წლიური საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთ სახსრებ მიმართ თანხ (ასეთ არსებო შემთხვ
30 06 02	**მატერიალური რეზერვების შექმნა და მართვა**	310	366.8	329.6	89.9	312.

საანგარიშო პერიოდში, პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

სახელმწიფო რეზერვების მატერიალურ ფასეულობათა ოპერაციების წარმოების ფარგლებში მიმდინარეობდა მუშაობა უიმედო დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების დადგენილი წესით ბალანსიდან მოხსნისა და ჩამოწერის თაობაზე;

[1] ივსება იმდენ პროგრამაზე, რამდენ პროგრამასაც მოიცავს მხარჯავი დაწესებულების ბიუჯეტი წლიური ბიუჯეტის კანონით.

საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა გეგმიური და საკონტროლო შემოწმებების მოსამზადებელი სამუშაოები სახელმწიფო რეზერვში რიცხული იმ მატერიალური ფასეულობებისა, რომლებიც ჩაწყობილია სხვადასხვა ორგანიზაციებსა და უწყებებში;

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა საპასუხისმგებელო შენახვაზე განთავსებული სახელმწიფო რეზერვების მატერიალური ფასეულობების რაოდენობრივი და თვისობრივი მდგომარეობის საკონტროლო შემოწმება;

მიმდინარეობდა მუშაობა სახელმწიფო რეზერვში ჩასაწყობი მატერიალური ფასეულობების ახალი ნომენკლატურის შესამუშავებლად;

გრძელდება მუშაობა ნორმატიული დოკუმენტების ევროსტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით;

შედგა შეხვედრა NATO-ს სამეკავშირო ოფისის საქართველოს წარმომადგენლობაში. განხილულ იქნა საკითხები საქართველოს სახელმწიფო მატერიალური რეზერვების სისტემის რეორგანიზაციის და თანამედროვე გამოწვევებთან მისი ადაპტაციის აუცილებლობის შესახებ და საერთაშორისო ექსპერტების მოწვევის მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით.

შემუშავებულია „სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი.

სერვისების განვითარების განყოფილებაში, 2019 წელს, დადებულია 593 ხელშეკრულება. აქედან შესრულდა 566 ხელშეკრულება. (სახანძრო უსაფრთხოების საკითხებზე სპეციალისტის ტექნიკური კონსულტაცია, შენობა-ნაგებობების საევაკუაციო გეგმები შემუშავება, საგანგებო სიტუაციებში ქცევის წესების, აგრეთვე საობიექტო დონეზე საგანგებო სიტუაციების მართვის ორგანიზების ტრენინგი, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა და შესაბამისი წინადადებების მომზადება, ობიექტზე სახანძრო ავტო ტექნიკითა და ეკიპაჟით მომსახურება, ობიექტის და სამშენებლო დოკუმენტაციის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა და შესაბამისი წინადადებების მომზადება, სახანძრო უსაფრთხოების წესების სწავლება, სახანძრო ზომების შემუშავება, ობიექტის ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის მოწყობილობებისა და სისტემების გამოცდა, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრის, აგრეთვე თვითმმართველი ქალაქის ტერიტორიის საზღვრებში სპეციალური დანიშნულების ავტო ტექნიკით სიმაღლეზე სამუშაოების წარმოება, სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულების მიზნით ორგანიზაციული ტექნიკური გადაწყვეტილება შემუშავება). დანარჩენი ხელშეკრულებები შესრულების პროცესშია.

ზემოაღნიშნულ პერიოდში ჩარიცხული შემოსავალი შეადგენს 406038 (ოთხასექვსიათასოცდათვრამეტი) ლარს და 58 თეთრს, მათ შორის: **იანვარში** 2626 (ორიათასექვსასოცდაექვსი) ლარი 02 თეთრი, **თებერვალში** - 13698 ცამეტიათასექვსასოთხმოცდათექვსმეტი) ლარი 75 თეთრი და **მარტში** - 24777 (ოცდაოთხიათასშვიდასსამოცდაჩვიდმეტი) ლარი და 99 თეთრი, **აპრილში** 34685 (ოცდათოთხმეტიათასექვსასოთხმოცდახუთი) ლარი და 45 თეთრი, **მაისში** 26703 (ოცდაექვსიათასშვიდასსამი) ლარი და 04 თეთრი, **ივნისში** 18795 (თვრამეტიათასშვიდასოთხმოცდახუთი) ლარი და 50 თეთრი, **ივლისში** 23112 (ოცდასამიათასასთორმეტი) ლარი 06 თეთრი, **აგვისტოში** - 28924

(ოცდარვაათასცხრაასოცდაოთხი) ლარი 31 თეთრი, **სექტემბერში** - 93478 (ოთხმოცდაცამეტიათასოთხასსამოცდათვრამეტი) ლარი და 54 თეთრი (მათ შორის ფილმის - „ფორსაჟი“ გადაღების დროს სახანძრო და სამაშველო მანქანების და ეკიპაჟის მომსახურებისთვის ჩარიცხულმა თანხამ შეადგინა 73675 (სამოცდაცამეტიათასექვსასსამოცდათხუთმეტი) ლარი, **ოქტომბერი** - 62498,30 (სამოცდაორიათასოთხასოთხმოცდათვრამეტი ლარი და 30 თეთრი (მათ შორის ფილმის - „ფორსაჟი“ გადაღების დროს სახანძრო და სამაშველო მანქანების და ეკიპაჟის მომსახურებისთვის ჩარიცხულმა თანხამ შეადგინა 29596 (ოცდაცხრაათასხუთასოთხმოცდათექვსმეტი) ლარი, **ნოემბერი** 41914 ლარი 00 თეთრი (ორმოცდაერთიათასცხრაასთოთხმეტი) ლარი, **დეკემბერი** - 34824,62 (ოცდათოთხმეტიათასრვაასოცდაოთხი) ლარი 62 თეთრი. საშუალოდ, თვის მაჩვენებელმა შეადგინა 33836 (ოცდაცამეტიათასრვაასოცდათექვსმეტი) ლარი და 55 თეთრი.
ამასთან, შსს მომსახურების სააგენტომ, 2019 წლის 30 მაისს, სააგენტოს ანგარიშზე ჩარიცხა 306500 (სამასექვსიათასხუთასი) ლარი საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სისტემის განვითარების ხელშეწყობისათვის, კერძოდ, მეხანძრე-მაშველებისთვის ხელთათმანების და ზამთრის უნიფორმის შესასყიდად. 2019 წლის 26 სექტემბერს დაიდო 07/09 ხელშეკრულება ზამთრის უნიფორმის შესასყიდად თანხით 138300 (ასოცდათვრამეტიათასსამასი) ლარის ოდენობით. ავანსად გადარიცხული იყო 69150 (სამოცდაცხრაათასასორმოცდაათი) ლარი. ზემოაღნიშნული ხელშეკრულება ჯერ დასრულებული არ არის.
2019 წელს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისთვის შეძენილი და გადაცემული იყო 68643 (სამოცდარვაათასექვსასორმოცდასამი) ლარად და 66 თეთრად ღირებული ქონება და მიწოდებული იქნა 10925 (ათიათასცხრაასოცდახუთი) ლარის და 60 თეთრის ოდენობის მომსახურება .

დაგეგმილი საბოლოო შედეგები[2]

მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ქვეყნის სამობილიზაციო მზადყოფნა საომარი მოქმედებების, სტიქიური უბედურებების, ეკონომიკური ბლოკადის, შესაძლო მიწისძვრების, ტექნოგენური კატასტროფების და სხვა მოულოდნელად წარმოქმნილი ექსტრემალური სიტუაციების დროს. ასევე ჰუმანიტარული დახმარების გასაწევად, შიდა ბაზარზე მარეგულირებელი ზემოქმედებისათვის, საწარმოების და ორგანიზაციების ნედლეულით, სათბობ-ენერგეტიკული რესურსებით უზრუნველყოფა საგანგებო და კრიზისულ სიტუაციებში.

მიღწეული საბოლოო შედეგები[3]

განხორციელდა სახელმწიფო რეზერვში რიცხული მატერიალური ფასეულობების მოვლა-შენახვა და აღრიცხვა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების დაცვით;

შესრულდა ღონისძიებების ჩატარების დროს სახანძრო ავტო ტექნიკითა და ეკიპაჟით მომსახურება, შენობა-ნაგებობის საევაკუაციო გეგმების შემუშავება, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ

---

[2] პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი საბოლოო შედეგები შეესაბამება წლიური ბიუჯეტის კანონის პროგრამული ბიუჯეტის დანართში შესაბამისი პროგრამის ფარგლებში განსაზღვრულ მოსალოდნელ საბოლოო შედეგებს.

[3] ივსება დაგეგმილი საბოლოო შედეგების ფაქტობრივი შესრულება საანგარიშო პერიოდისთვის, ხოლო თუ დაგეგმილი საბოლოო შედეგი მიიღწევა საანგარიშო პერიოდის შემდგომ, ივსება დაგეგმილი საბოლოო შედეგის პროგრესი საანგარიშო პერიოდისთვის.

რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობას დადგენა და შესაბამისი წინადადებების მომზადება; სახანძრო უსაფრთხოების წესების სწავლება ; სახანძრო სიტუაციებში ქცევის წესების, აგრეთვე საგანგებო სიტუაციების მართვის ორგანიზების სწავლება;

დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი[4]

1. საბაზისო მაჩვენებელი

საბაზისო მაჩვენებელი - სახელმწიფო მატერიალური რეზერვების სწორად მართვისთვის აუცილებელია შესაბამისი ოპერაციების წარმოება, კონტროლი და მათი დაცულობის უზრუნველყოფა;

საბაზისო მაჩვენებელი - სახელმწიფო რეზერვში ჩაწყობილი მატერიალური ფასეულობების შენახვის პირობების დაცვის, მათი ვარგისიანობის, რაოდენობრივი და ხარისხობრივი უზრუნველყოფის მიზნით, საჭიროა სისტემატური კონტროლის განხორციელება, რომ ადგილი არ ჰქონდეს ფასეულობების თვითნებურ ხარჯვას ან გაუვარგისებას;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი[5]

მიზნობრივი მაჩვენებელი - სახელმწიფო მატერიალური რეზერვების წარმოებული ოპერაციები, მათი კონტროლი მართვა და დაცულობის უზრუნველყოფა;

მიზნობრივი მაჩვენებელი - სახელმწიფო რეზერვში ჩაწყობილი მატერიალური ფასეულობების შენახვის პირობების დაცვის, მათი ვარგისიანობის, რაოდენობრივი და ხარისხობრივი უზრუნველყოფის მიზნით, განხორციელებული სიტემატური კონტროლი.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი[6]

მიზნობრივი მაჩვენებელი - ღონისძიებების ჩატარების დროს სახანძრო ავტოტექნიკითა და ეკიპაჟით მომსახურება, შენობა-ნაგებობის საევაკუაციო გეგმების შემუშავება,შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელი ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობას დადგენა და შესაბამისი წინადადებების მომზადება; სახანძრო უსაფრთხოების წესების სწავლება ; სახანძრო სიტუაციებში ქცევის წესების, აგრეთვე საგანგებო სიტუაციების მართვის ორგანიზების სწავლება;

მიზნობრივი მაჩვენებელი - მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

---

[4] დაგეგმილი საბოლოო შედეგის ინდიკატორი შეესაბამება წლიური ბიუჯეტის კანონის პროგრამული ბიუჯეტის დანართში შესაბამისი პროგრამის ფარგლებში განსაზღვრულ საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორებს (მათ შორის, საბაზისო და მიზნობრივი მაჩვენებლები).

[5] დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი შეესაბამება წლიური ბიუჯეტის კანონის პროგრამული ბიუჯეტის დანართში შესაბამისი პროგრამის ფარგლებში განსაზღვრულ საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორების ნაწილში მიზნობრივ მაჩვენებელს.

[6] დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი შეესაბამება წლიური ბიუჯეტის კანონის პროგრამული ბიუჯეტის დანართში შესაბამისი პროგრამის ფარგლებში განსაზღვრულ საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორების ნაწილში მიზნობრივ მაჩვენებელს.

1. მუდმივად მიმდინარეობდა ჩაწყობილი მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა/მონიტორინგი;
2. მიმდინარეობდა ინტენსიური მუშაობა სახელმწიფო რეზერვში ჩასაწყობი მატერიალური ფასეულობების ახალი ნომენკლატურის პროექტის შედგენაზე.
3. ღონისძიებების ჩატარებისას მიმდინარეობდა სახანძრო ავტო ტექნიკითა და ეკიპაჟით მომსახურება, შენობა-ნაგებობის საევაკუაციო გეგმების შემუშავება, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელი ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობას დადგენა და შესაბამისი წინადადებების მომზადება; სახანძრო უსაფრთხოების წესების სწავლება; სახანძრო სიტუაციებში ქცევის წესების, აგრეთვე საგანგებო სიტუაციების მართვის ორგანიზების სწავლება;